European Commission

საქართველოს ევროკავშირთან თანამშრომლობის შეფასება 2014-2020

ევროკავშირი საქართველოს ყველაზე მსხვილი დონორია. ფინანსური მხარდაჭერის მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზარდა – 2015 წელს გამოყოფილი 150 მილიონი ევროდან 2020 წელს მხარდაჭერამ 225 მილიონ ევროს მიაღწია. 2014-2020 წლებში, ევროკავშირი საქართველოს საერთო ჯამში 938.4 მილიონი ევროთი დაეხმარა.

939 მილიონი ევრო

253	171	168	109	90	82	38	28
სოფლის მეურნეობა და სოფლის განვითარება	კავშირების დამყარება	ეკონომიკური განვითარება და ბაზრის შესაძლებლობები	მართლმსაჯულება, დემოკრატიული მმართველობა	საჯარო მმართველობის რეფორმა (PAR) და საჯარო ფინანსების მართვა (PFM)	სხვა (მათ შორის კოვიდ-19)	მობილურობა და ადამიანებს შორის კავშირები	გენდერი და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები (CSOs)

ექვსი სექტორი

შეფასებაში ყურადღება თანამშრომლობის ყველა სექტორზეა გამახვილებული.

- სოფლის მეურნეობა და სოფლის განვითარება
- საჯარო მმართველობის სისტემის რეფორმა (PAR) და საჯარო ფინანსების მართვა (PFM)სხვა (მათ შორის კოვიდ-19)
- მართლმსაჯულება, კანონის უზენაესობა (RoL) და დემოკრატიული მმართველობა
- ეკონომიკური განვითარება, ბაზრის შესაძლებლობები და პროფესიული უნარ-ჩვევები
- ურთიერთკავშირები (გარემო, კლიმატის ცვლილება, ენერგეტიკა, ტრანსპორტი)
- მობილურობა და ადამიანებს შორის კავშირები

გამჭოლი საკითხები: ადამიანის უფლებები, სამოქალაქო საზოგადოება და გენდერ

Neighbourhood and Enlargement Negotiations

დასკვნები

სტრატეგიული განზომილებები

C1. ევროკავშირის საქართველოსთან თანამშრომლობა სტრატეგიულად გამართულია და მისი დაგეგმვა და განხორციელება მყარ **ინსტიტუციურ სტრუქტურებს ეყრდნობა.**

C2. ევროკავშირმა გამოიყენა იმ ინსტრუმენტების, მეთოდების და დაფინანსების არხების ფართო სპექტრი, რომელიც ხელმისაწვდომი იყო საქართველოსთან მისი **სტრატეგიული** თანამშრომლობის ფარგლებში

C3. საქართველოს მხარდასაჭერად ევროკავშირმა **ეფექტიანობისა და სწავლის** თვალსაზრისით კარგი მიდგომები შეარჩია. პრობლემას წარმოადგენდა ევროკავშირის ხილვადობა, თუმცა, ევროკავშირის წარმომადგენლობამ ნაბიჯები გადადგა მის გასაუმჯობესებლად.

დარგობრივი განზომილებები

C4. ევროკავშირის დახმარებამ ხელი შეუწყო **შედეგების** მიღწევას **ყველა სექტორში,** თუმცა, განხორციელება ხშირად საკანონმდებლო რეფორმას ჩამორჩება.

C4ა. სოფლის მეურნეობა და სოფლის განვითარება
დადებითი გავლენა როგორც სოფლის მეურნეობაზე, ისე სოფლის განვითარებაზე მოსავლიანობის და წარმოების ზრდის თვალსაზრისით მოსალოდნელზე დაბალი იყო, ხოლო სოციალურ-ეკონომიკური შედეგების დადგენა - რთული. თუმცა, საქართველოს მიმართ ევროკავშირის დახმარებამ ხელი შეუწყო კარგ წინსვლას სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომების და სურსათის უვნებლობის თვალსაზრისით და ინოვაციური მიდგომები დანერგვას სოფლის და ინტეგრირებული ტერიტორული განვითარების მიმართულებით.

C4ბ. საჯარო მმართველობის სისტემის რეფორმა და საჯარო ფინანსების მართვა
მიღწეულ იქნა წინსვლა, რამაც ხელი შეუწყო ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის ზრდას. ამის მიუხედავად, საზოგადოების ნდობა სამთავრობო დაწესებულებების მიმართ შემცირდა, ხოლო შესაძლებლობები ბევრ სახელმწიფო დაწესებულებაში დაბალ დონეზე რჩება. ეს იმაზე მეტყველებს, რომ საჯარო მმართველობის სისტემა, რომელთანაც რიგით მოქალაქეს ყოველდღიურ ცხოვრებაში აქვს შეხება, კვლავ არასრულყოფილია.

C4გ. მართლმსაჯულება და კანონის უზენაესობა
მართლმსაჯულების რეფორმის ბევრი მიმართულებით – გენდერული ნიშნით ძალადობა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, იურიდიული დახმარება და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა – მნიშვნელოვანი წინსვლა აღინიშნა. თუმცა, სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის სფეროში მიღწეული წინსვლა მცირეა. დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების სფეროებში უკან დახევის შემთხვევები აშკარაა.

C4დ. ეკონომიკური განვითარება
მცირე და საშუალო საწარმოების და პროფესიული განათლების პოლიტიკა და ინსტიტუციური ჩარჩოები გაუმჯობესდა, თუმცა მათი ურთიერთთანხვედრა არასაკმარისია. ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებამ ხელი შეუწყო საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების პროცესში კარგ წინსვლას და გაზარდა ექსპორტის მოცულობა, თუმცა, არ არის საკმარისი მტკიცებულება იმისა, რომ საქართველოდან ექსპორტი ღირებულების ჯაჭვის მთელს გაყოლებაზე მზარდია.

C4ე. ურთიერთკავშირები
ევროკავშირთან თანამშრომლობამ საფუძველი ჩაუყარა ეროვნული სამართლებრივი ჩარჩოების და რეგულაციების საერთაშორისო ნორმებთან შესაბამისობას და ევროკავშირის კანონთა კრებულთან დაახლოვებას, თუმცა, პროექტების შედეგები ნელა ვლინდება. ეს უმთავრესად გამოწვეულია თავად ინფრასტრუქტურული პროექტის პროცესის არსით, თუმცა, ასევე, შესაძლებლობების ნაკლებობითაც.

C4ვ. ადამიანებს შორის კავშირები და მობილურობა
სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის პროცესი კარგად წარიმართა და პროექტები „Erasmus+" და „ჰორიზონტი 2020" ასევე ძალზე შედეგიანი იყო. თუმცა, დადებითი გავლენა სამუშაო ძალის მობილურობაზე შეზღუდული იყო და „პარტნიორობა მობილობისათვის" მექანიზმის ფარგლებში მონაწილეობა არ იყო შესაბამისი.

C5. **გენდერული პრობლემატიკასთან კომპლექსური მიდგომის** თვალსაზრისით ყველა სექტორში მიღწეულ იქნა წინსვლა, თუმცა, ეს წინსვლა მცირე იყო შერევის ოპერაციებში [შერევის ოპერაცია ნიშნავს ევროკავშირის ბიუჯეტიდან დახმარების არანაზღაურებად ფორმას, რომელიც კომბინირებულია მხარდაჭერის ანაზღაურებად ფორმებთან] და ამ კომპლექსური მიდგომის ხარისხი ზოგჯერ სტანდარტებს ჩამორჩება. გარემოსა და კლიმატის ცვლილების საკითხების წინ წამოწევას ცნობიერების ნაკლებობა და გარკვეულწილად, წინააღმდეგობაც აფერხებს.

C6. საზოგადოებრივი აზრის ტენდენციები სახელმწიფო დაწესებულებებისა და დემოკრატიის მიმართ ნდობის შემცირებას ცხადყოფს. ამის მიუხედავად, ხალხის ნდობა ევროპის მიმართ კვლავ მაღალია, ხოლო საქართველოს სამოქალაქო საზოგადოება ამ მიმართულებით ურყევი და პროაქტიური რჩება, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან სულ უფრო მზარდად დაძაბული ურთიერთობების მიუხედავად.

რეკომენდაციები

1 ინსტრუმენტები, მეთოდები და არხები

ევროკავშირმა უნდა განაგრძოს ხელმისაწვდომი ინსტრუმენტების, მეთოდებისა და არხების ფართო სპექტრის, მათ შორის, პოლიტიკის და პოლიტიკური დიალოგის გამოყენება. თუმცა, უფრო მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ეფექტიანობას. ევროკავშირმა უნდა შეიმუშავოს უფრო მკაფიო კრიტერიუმების ნაკრები იმ დროისათვის, როდესაც საბიუჯეტო დახმარება თავის მიზანს მიაღწევს.

2 შესაძლებლობათა განვითარების მიმართულებით გაწეული ძალისხმევა

შესაძლებლობათა განვითარების და ტექნიკური დახმარების საჭიროების შეფასებისას, ევროკავშირის მიდგომა კრიტიკული უნდა იყოს და მათ მიზანსა და მდგრადობას უნდა ითვალისწინებდეს. შესაძლებლობათა განვითარების ერთ–ერთი პირობა უნდა იყოს ბენეფიციარი დაწესებულების მიერ საკადრო პოლიტიკის და კადრების შენარჩუნების გეგმის შემუშავება, ხოლო ტექნიკური დახმარების შედეგების მონიტორინგი ზედმიწევნით უნდა განხორციელდეს.

3 გამჭოლი საკითხების წინ წამოწევა

ევროკავშირმა უნდა განაგრძოს გამჭოლი საკითხების წინა პლანზე წამოწევა უფრო ხარისხიანად, განსაკუთრებით, გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებებისა და შესაძლებლობების გაფართოების, ასევე სხვა საკითხების. მან უფრო მკაფიოდ უნდა ჩამოაყალიბოს გენდერული მიზნები და უკეთ ჩართოს გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებებისა და შესაძლებლობების გაფართოების საკითხი ურთიერთკავშირების ღონისძიებებში და შერევის ოპერაციებში.

4 ევროკავშირის მხარდაჭერის განსაზღვრა თანამშრომლობის კუთხით

მიმდინარე საერთაშორისო კონტექსტში, ევროკავშირმა და მისმა პარტნიორმა ქვეყნებმა უკეთესად უნდა გამოიყენონ, გააკონტროლონ და განავითარონ ის შესაძლებლობები, რომელიც ევროკავშირთან დაახლოებისთვის საქართველომ ჯერ კიდევ 2018 წელს გამოხატა. მაქსიმალურად უნდა გაიზარდოს პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობის ურთიერთშეთანხმება, რომელშიც ისინი ერთმანეთს აძლიერებენ.

5 სოფლის მეურნეობა, სოფლის და რეგიონული განვითარება

ევროკავშირმა უნდა განაგრძოს ფართო მიდგომის გამოყენება, მაგრამ უკეთ უნდა შეაფასოს, თუ მომავალში რა სახის მხარდაჭერა (მათ შორის, კერძო სექტორის ჩართულობის თვალსაზრისით) არის მიზანშეწონილი, მოკლევადიანი შედეგების მისაღწევად და განვითარების პროცესების გრძელვადიან ხასიათს შორის ბალანსის გათვალისწინებით.

6 საჯარო მმართველობის სისტემის რეფორმა / საჯარო ფინანსების მართვა

ევროკავშირმა უნდა გააფართოვოს და გააღრმავოს დახმარება საჯარო მმართველობის სისტემის რეფორმისა და საჯარო ფინანსების მართვის მიმართულებით; ამავე დროს, ერთმანეთთან შეაჯეროს მოკლევადიანი მოლოდინები, რომელიც საბიუჯეტო მხარდაჭერის პირობებშია ასახული და გრძელვადიანი რეფორმის ამოცანები; ასევე, მოიძიოს ახალი მეთოდები ან უკეთ მოახდინოს მათი კომბინირება.

7 მართლმსაჯულება, კანონის უზენაესობა და დემოკრატიული მმართველობა

ევროკავშირმა უნდა განაგრძოს კრიტიკულად შეფასება, თუ რომელი მიმართულებით არის მიღწეული წინსვლა და რომელი მიმართულებით - არა, და განსაზღვროს ის სფეროები, სადაც შეინიშნება უკან დახევა და თანამშრომლობის პროგრამაში შესაბამისი ცვლილებები შეიტანოს. მან უნდა გამოიყენოს პირობებზე დაფუძნებული მიდგომა სასამართლო სისტემის რეფორმაზე თანამშრომლობის გასაგრძელებლად. ევროკავშირის დახმარებამ უნდა წაახალისოს სამოქალაქო საზოგადოების კონკრეტული მონაწილეობა პოლიტიკის შემუშავებაში, განხორციელებასა და მონიტორინგში.

8 ეკონომიკური განვითარება, ბაზრის შესაძლებლობები და უნარ-ჩვევები

ევროკავშირმა უნდა განაგრძოს მრავალფეროვანი ძალისხმევა მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსებზე წვდომის გასაზრდელად; მეტად გაამახვილოს ყურადღება მცირე და საშუალო საწარმოების გამოცდილების გაზრდაზე და გააძლიეროს კავშირი ზემოაღნიშნულ საწარმოებსა და პროფესიულ განათლებას შორის.

9 ურთიერთკავშირები

ევროკავშირმა უნდა შეიმუშავოს ურთიერთკავშირების ყოვლისმომცველი სტრატეგია, განსაკუთრებით, მისი საერთაშორისო განზომილების ფარგლებში. საფინანსო დაწესებულებებთან კონსულტაციით, მან უნდა შეიმუშავოს უფრო შეთანხმებული და ურთიერთ-შემავსებელი მონიტორინგისა და შეფასების ჩარჩოები და უფრო მეტი ძალისხმევა მიმართოს ცნობიერების ამაღლებისა და იმ ინფორმაციის გავრცელებისკენ, რომელიც შერევის ოპერაციების უპირატესობასთან არის დაკავშირებული.

10 მობილურობა და ადამიანებს შორის კავშირები

ევროკავშირმა, საქართველოს მთავრობასა და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან ერთად, ხელახლა უნდა შეისწავლოს „პარტნიორობა მობილურობისთვის" პროგრამის გამოყენების შესაძლებლობა მიგრაციის უფრო ერთიანი სტრატეგიის მხარდასაჭერად.

მეთოდოლოგიური მიდგომა

ევროკავშირის დავალებით ჩატარდა საქართველოსთან 2014-2020 წლებში ევროკავშირის თანამშრომლობის შეფასება. მისი მიზანი იყო უკეთესად გარკვევა, თუ რამ იმუშავა, რამ არა და რა პირობებში, რომ შესაძლებელი ყოფილიყო გაკვეთილის გამოტანა და საქართველოში ევროკავშირის მომავალ სტრატეგიებში, პროგრამებსა და ქმედებებში გამოყენება. შეფასება 2021 წლის მარტიდან 2022 წლის სექტემბრამდე პერიოდში სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოებაზე მოლაპარაკებების საკითხებში ევროკომისიის გენერალური დირექტორატის (DG NEAR) შესრულების, შედეგებისა და შეფასების განყოფილების მიერ ჩატარდა. შეფასება ეფუძნებოდა ცხრა შეკითხვას; შეგროვდა მონაცემები და მოხდა მათი ანალიზი, რაც მოიცავდა 2000-ზე მეტი დოკუმენტის განხილვასა და ინტერვიუს 95 პირთან, რომელიც იცნობდა ევროკავშირის საქმიანობას.

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია კონტრაქტორი ორგანიზაცია და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.